საქართველოს ეროვნული აკადემიის დაარსების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი ეკოსისტემების შესწავლა და მდგრადი გამოყენება კლიმატის თანამედროვე ცვლილების პირობებში“,
სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, 11 დეკემბერი, 2025 წ.
Scientific conference dedicated to the 85th anniversary of the founding of the National Academy of Georgia "Study and sustainable use of natural ecosystems in the conditions of modern climate change",
Institute of Hydrometeorology of GTU, Tbilisi, Georgia, December 11, 2025

2025 წლის 11 დეკემბერს ქ. თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია **„ბუნებრივი ეკოსისტემების შესწავლა და მდგრადი გამოყენება კლიმატის თანამედროვე ცვლილების პირობებში“.** კონფერენცია ეძღვნება საქართველოს ეროვნული აკადემიის დაარსების 85 წლისთავს.

გიწვევთ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად!

კონფერენცია ჩატარდება შერეული ფორმატით (ადგილზე/ონლაინ დასწრებით).

კონფერენციის სამუშაო ენა - ქართული/ინგლისური. კონფერენციის მასალები გამოიცემა თეზისების სახით (ელ. ვერსია). თეზისების წარდგენა ხდება ქართულ/ინგლისურ ენაზე. ერთი ავტორის მიერ წარმოდგენილი თეზისების რაოდენობა არა უმეტეს 3-ისა (თანდართული ფორმით). გაიცემა სერთიფიკატი.

კონფერენციის მონაწილეები თავისუფალი არიან საორგანიზაციო ხარჯების გადახდისგან!

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი არ აფინანსებს მონაწილეების სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, სასტუმრო, დღეღამური ხარჯი).

კონფერენციის თემები

1. წყლის რესურსები, მათი პროგნოზები და მართვა;
2. გარემოს დაბინძურების გავლენა ბუნებრივ ეკოსისიტემაზე, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს ქიმიურ შემადგენლობაზე;
3. კლიმატის ცვლილების ტენდეციები და მათი გავლენა ბუნებრივ ეკოსისტემაზე;
4. ატმოსფერული პროცესების მათემატიკური მოდელირება;
5. სამშენებლო კლიმატოლოგია და საინჟინრო ჰიდროლოგია;
6. კავკასიონის მყინვართა გამოკვლევა;
7. განახლებადი ენერგორესურსები საქართველოს ტერიტორიაზე;
8. საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები სამხრეთ კავკასიაში;
9. სხვა საკითხები, დაკავშირებული ბუნებრივი ეკოსისიტემის შესწავლასთან.

კონფერენციის მიზნები

- მეცნიერთა პოტენციალის გამოვლენა ბუნებრივი ეკოსისტემის მონიტორინგის დარგში;
- მეცნიერთა კავშირების დამყარება და განმტკიცება;
- სამეცნიერო კვლევების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა;
- კონფერენციის თემის საკითხების მიმართ საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა;
- კონფერენციის თემის საკითხების გარშემო სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება;
- სამეცნიერო საზოგადოებისთვის, სამთავრობო სტრუქტურებისთვის, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისთვის იმ პრობლემების თანამედროვე მდგომარეობასთან გაცნობა, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი ეკოსისტემის მონიტორინგის დარგთან.

კონფერენციის ამოცანები

- საქართველოში ბუნებრივი ეკოსისტემის მონიტორინგის დარგში მრავალწლიანი კვლევების შედეგების პრეზენტაცია პლენარულ სხდომაზე (ზეპირი\სტენდური\ვიდეო);
- სამეცნიერო კომიტეტის მიერ შერჩეული მოხსენებების პრეზენტაცია და მათი განხილვა პლენარულ, სასექციო სხდომებზე და სტენდური სახით.
-

სამიზნე ჯგუფები

- სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ კონფერენციის თემატიკასთან (უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, საგანმანათლებლო ორგანიზაციები, საგანგებო სიტუაციების სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა).

მოსალოდნელი შედეგები

- ბუნებრივი ეკოსისტემის მონიტორინგის დარგში ისტორიული და თანამედროვე მიღწევების პოპულარიზაცია;
- ფართო საზოგადოებისათვის იმ პრობლემების თანამედროვე მდგომარეობასთან გაცნობა, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი ეკოსისტემის მონიტორინგის დარგთან, ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება;
- თანამშრომლობის გაღრმავება კონფერენციის თემატიკებთან დაკავშირებული თანამედროვე მიღწევების სამეცნიერო და პრაქტიკული გამოყენებისათვის;
- კონფერენციის თემატიკებთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური რისკების შეფასება და ამ რისკების პრევენციისათვის საერთო მოქმედებების ორგანიზების შესაძლებლობების გამოვლენა;
- ქვეყნების მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად ბუნებრივი ეკოსისტემის მონიტორინგის გამოყენების გაფართოების შესაძლებლობების შეფასება;
- ბუნებრივი ეკოსისტემის მონიტორინგის დარგში საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბაზის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა.

კონფერენციის ორგანიზატორები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

მნიშვნელოვანი თარიღები

- განაცხადების და თეზისების მიღება (თანდართული ფორმებით) – **2025წ. 01 დეკემბრის ჩათვლით;**
- ავტორთა შეტყობინება (პროგრამა და სხვ) - **2025 წ. 5 დეკემბრამდე;**
- კონფერენციის თეზისების კრებულის ელექტრონული სახით გამოცემა - **2025 წ. 11 დეკემბრამდე;**
- ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის პორტალზე კონფერენციის თეზისების კრებულის ელექტრონული ვერსიის ატვირთვა - **2025 წ. 25 დეკემბრამდე;**
- კონფერენციაზე რეგისტრაცია - **2025 წ. 11 დეკემბერი;**
- სერთიფიკატის გაცემა - **2025 წ. 11 დეკემბერი.**

საკონტაქტო პირი: **ელიზბარ ელიზბარაშვილი,** მობ. 599 73 58 86
ელ. ფოსტა: ecohydmet@yahoo.com, ecohydmet@gtu.ge
ვებ. გვერდი: https://ihm.ge